unicef
for every child

მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა 2017

მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა 2017

მოკლე მიმოხილვა

2018

© გაეროს ბავშვთა ფონდი
ივნისი, 2018
გაეროს ბავშვთა ფონდი (იუნისეფი)
tbilisi@unicef.org
www.unicef.ge
http://data.unicef.ge

„მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ მოკლე მიმოხილვის ანგარიში შეიმუშავა „ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფმა“ გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით.

წინამდებარე პუბლიკაციაში გადმოცემული კვლევის შედეგები, ინტერპრეტაცია და დასკვნები გამოხატავენ ავტორის მოსაზრებას და არ არის აუცილებელი ასახავდნენ გაეროს ბავშვთა ფონდის შეხედულებებს.

გარეკანის ფოტო: ვახტანგ ხეთაგური

შესავალი

წარმოდგენილი ანგარიში მოკლედ მიმოიხილავს 2017 წლის ივლის-აგვისტოში ჩატარებული „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ შედეგებს. აღნიშნული კვლევა 2009 წელს დაწყებული კვლევების მეხუთე ეტაპს წარმოადგენს. იგი გაეროს ბავშვთა ფონდის ინიციატივით მიმდინარე ერთობლივი ღონისძიებების ნაწილია და საქართველოში ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობის მონიტორინგისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვებას ისახავს მიზნად. „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა“ ოჯახების პანელური გამოკითხვაა, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება და საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებულ ყველა რეგიონს მოიცავს. კვლევის მეხუთე ეტაპზე შესაბამისი კითხვარები 4697-მა შინამეურნეობამ შეავსო და მიღებული შედეგები რეპრეზენტატიულია ქვეყნის მასშტაბით.

კვლევას სამი მიზანი აქვს. ესენია:
1. საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციების მიმოხილვა;
2. კეთილდღეობის ძირითადი ინდიკატორების დინამიკის შეფასება და მათი შედარება გასული ეტაპების შედეგებთან; და
3. საქართველოში განხორციელებული „მიზნობრივი სოციალური დახმარების რეფორმის“ შედეგების იდენტიფიკაცია და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები პირებისთვის, სოციალური დახმარების ახალი მეთოდოლოგიისა და სქემის დანერგვის შემდეგ შექმნილი ვითარების შესახებ, დეტალური ინფორმაციის მიწოდება.

კვლევის მეხუთე ეტაპზე მიღებული მონაცემების საფუძველზე შესწავლილ იქნა ისეთი სოციალური მოვლენების გავრცელების არეალი, როგორიცაა სამომხმარებლო სიღარიბე, მატერიალური დეპრივაცია, სუბიექტური სიღარიბე და სოციალური გარიყულობა. კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სოციალური ტრანსფერების როლსა და ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებს.

საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების მოკლე მიმოხილვა

- **2017 წელს საქართველოს ეკონომიკამ, ექსპორტის კარგი მაჩვენებლების, სწრაფად მზარდი ტურიზმის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მატებისა და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან კერძო ფულადი გზავნილების ზრდის შედეგად, აღმავლობა განიცადა.**



ამავე წელს, საბაზრო ფასების მიხედვით, საქართველოს ნომინალურმა მთლიანმა შიდა პროდუქტმა (მშპ) 38,042 მილიონი ლარი შეადგინა, რაც გასულ წელთან შედარებით 11.8%-იან ზრდას ნიშნავს. „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის“ (საქსტატის) მონაცემების მიხედვით, 2017 წელს რეალური მშპ, წლიურ ჭრილში, 5%-ით გაიზარდა, ხოლო, 2015-2016 წლების მონაცემებით, მისი ზრდის ტემპი 3%-ზე დაბალი იყო. ეკონომიკური ზრდის გაუმჯობესებას ხელი შეუწყო საგარეო სექტორში განვითარებულმა დადებითმა ტენდენციებმა, კერძოდ – ექსპორტის ზრდამ (29.1%), კერძო ფულადი გზავნილებისა (19.8%) და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების მატებამ (16.2%). ეკონომიკური აღმავლობა ასევე აისახა შემდეგი სექტორების რეალური ზრდის ტემპზე: სამშენებლო სექტორში – 11.2%-ით, სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში – 11.2%-ით, ფინანსურ შუამავლობაში – 9.2%-ით, ტრანსპორტის სექტორში – 7.2%-ით, სამთო-მომპოვებელ სექტორსა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაში – 7.1%-ით, ვაჭრობის სერვისებში – 6.6%-ით, უძრავი ქონების სექტორში (გაქირავებასა და ბიზნეს-აქტივობებში) – 6.3%-ით და მსუბუქ მრეწველობაში – 5.0%-ით. რეალური დამატებითი ღირებულების შემცირება აღინიშნა სოფლის მეურნეობაში, სატყეო სექტორსა და მეთევზეობაში (-2.7%) და შინამეურნეობების მიერ პროდუქტების გადამუშავებაში (-2.7%). 2018 წლისთვის საქართველოს საერთო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზი დადებითია. საქართველოს ეროვნული ბანკის „მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის“ (2018)* მიხედვით, 2018 წელს მშპ-ს საპროგნოზო წლიური ზრდა 4.8% უნდა იყოს. უფრო პესიმისტურია მსოფლიო ბანკისა** და საერთაშორისო სავალუტო ფონდის*** პროგნოზები, რომელთა თანახმადაც, მშპ-ს ზრდა 2018 წელს 4.2%-ს მიაღწევს.

- **იმის მიუხედავად, რომ 2015 წელს საქართველოში საშუალო წლიური ინფლაცია მნიშვნელოვნად გაიზარდა, 2016 წელს ის კლების ტენდეციით ხასიათდებოდა და 2.2%-მდე შემცირდა.**

---

* National Bank of Georgia (2018), “Monetary Policy Report – May”, available at: https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/inflationreport/2018/mpr_2018q2_publish_eng_brief.pdf

** World Bank 2018, “Global Economic Prospects”, available at: http://www.worldbank.org/en/publication/global-economic-prospects

*** International Monetary Fund (2017), “World Economic Outlook”, available at: http://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2017/09/19/world-economic-outlook-october-2017

სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით, ინფლაციის წლიური მაჩვენებელი 2015 წელს საშუალოდ 4.0%-ს უდრიდა. სამომხმარებლო ფასების ინდექსი ქვეყანაში საშუალო სამომხმარებლო ფასების დონის ცვლილებას ასახავს. 2015 წლის ივლისში წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ინფლაცია 4.9%-ით გაიზარდა. ეს ზრდა სამომხმარებლო კალათაში შემავალი შემდეგი პროდუქტების ფასების ცვლილებით იყო გამოწვეული: ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო (+11.7%), საკვები პროდუქტები და უალკოჰოლო სასმელები (+7.1%) და ჯანდაცვა (+7.3%). 2015 წელს ინფლაცია მნიშვნელოვნად გაიზარდა ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე აქციზის გადასახადისა და ელექტროენერგიის საფასურის ზრდის შედეგად. ეს გამოწვეული იყო გრძელვადიანი მოხმარების საგნების ფასების ზრდითაც, რაც, თავის მხრივ, ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად მიღებული შოკით იყო განპირობებული*. 2015 წლის ივლისიდან 2016 წლის ივლისამდე პერიოდში სამომხმარებლო ფასები 1.5%-ით (2016 წელს საშუალოდ 2.2%) გაიზარდა. იმის მიუხედავად, რომ წლიური ინფლაცია შენელდა, ცალკეული პროდუქტების ფასების უფრო დეტალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ „ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს“ კატეგორიაში შემავალი პროდუქტების ფასების წლიურმა ცვლილებამ 13.1%-ს მიაღწია. ფასები გაიზარდა როგორც თამბაქოზე (+20.5%), ასევე ალკოჰოლურ სასმელებზე (+7.1%), ხოლო საკვები პროდუქტებისა და უალკოჰოლო სასმელების ფასების ზრდამ მხოლოდ 1.1% შეადგინა. იმავე პერიოდში, ინფლაცია 9.2%-მდე გაიზარდა ისეთი კომუნალური სერვისებისთვის, როგორიცაა წყალი, ელექტროენერგია, გაზი და სხვ. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის ივლისში, ელექტროენერგიის ტარიფი წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, 27.5%-ით გაიზარდა. ჯანდაცვის ჯგუფის პროდუქტების შემთხვევაში ინფლაციამ 4.1%-ს მიაღწია. ამავე ჯგუფში ყველაზე მაღალი ზრდის მაჩვენებელი – 8.7% ამბულატორიულ მომსახურებაზე აღინიშნა.

* 2015 წელს ქართული ლარი დოლარის მიმართ საშუალოდ 28.5%-ით გაუფასურდა.

- **2017 წელს ინფლაციის დონეზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა საკვები პროდუქტების, თამბაქოს, ალკოჰოლური სასმელების, ტრანსპორტისა და ჯანდაცვის ფასების ზრდამ, რომელიც 4%-დან 37%-მდე ფარგლებში მერყეობდა.**



წლიურმა ინფლაციის დონემ 2016 წლის ივლისიდან 2017 წლის ივლისამდე მოიმატა და 6% შეადგინა, რაც ეროვნული ბანკის იმავე პერიოდის პროგნოზს – 4%-ს, აღემატებოდა. ეს ძირითადად გამოწვეული იყო ფასების ცვლილებით შემდეგი ჯგუფების პროდუქტებზე: საკვებ პროდუქტებსა და უალკოჰოლო სასმელებზე (+7.1%), ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე (+17.3%), ტრანსპორტსა (+12.6%) და ჯანდაცვაზე (+6.9%). საკვები პროდუქტებისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში შემავალ პროდუქტებს შორის ინფლაციაზე ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფასების ზრდამ შემდეგი ქვეჯგუფების პროდუქტებზე: ბოსტნეულზე (+25.6%), ხილსა და ყურძენზე (+15.9%), რძეზე, ყველსა და კვერცხზე (+9.3%), ხორცზე (+9.1%), ყავაზე, ჩაისა და კაკაოზე (+5.6%), ზეთსა და ცხიმებზე (+5.5%) და თევზზე (+4.4%). აგრეთვე გაიზარდა „ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს“ ჯგუფში შემავალი პროდუქტების ფასებიც (+17.3). ალკოჰოლურ სასმელებზე ფასების მატებამ (+1.3%), ხოლო თამბაქოზე (+37.1%) შეადგინა. რაც შეეხება ტრანსპორტის ჯგუფში შემავალ პროდუქტებსა და სერვისებს, ფასები გაიზარდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (+18.0%), სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (+4.0%) და სატრანსპორტო მომსახურებაზე

(+3.4%). ჯანდაცვის ჯგუფში ფასების მატება აღინიშნა სამედიცინო პროდუქციის*, აპარატურისა და მოწყობილობების ქვეჯგუფსა (+18.1%) და ამბოლატორიულ სამედიცინო მომსახურებაზე (+5.5%). 2017 წელს ინფლაციის ზრდა ერთჯერადმა ფაქტორებმა გამოიწვია. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასების ზრდა, ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის დევალვაცია და თამბაქოსა და ნავთობპროდუქტებზე აქციზის გადასახადის** ზრდის კიდევ ერთი ტალღა. ფაქტობრივად, 2015 წლის ივლისთან შედარებით, 2017 წლის ივლისში წლიური ინფლაციის დონე 7.6%-მდე გაიზარდა. სამომხმარებლო ფასების ცვლილებაზე ყველაზე დიდი ზეგავლენა იქონია ფასების ცვლილებამ საკვებ პროდუქტებსა და უალკოჰოლო სასმელებზე (+8.3%), ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე (+32.6%), კომუნალურ სერვისზე (წყალი, ელექტროენერგია, გაზი და სხვ.) (+7.2%) და ჯანდაცვის პროდუქტებსა და მომსახურებაზე (+11.3%).

- **უმუშევრობის დონე საქართველოში კვლავაც მაღალია. ამ კუთხით, ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა დასაქმებულთა განაწილება.**

სამუშაო ძალის უდიდესი ნაწილი თვითდასაქმებულია და ძირითადად სოფლის მეურნეობაშია კონცენტრირებული, რომელიც მთლიანი შიდა პროდუქტის 8.2%-ია. საქართველოში სამუშაო ძალის რაოდენობა (დასაქმებულები + უმუშევრები) 2015-2016 წლებში 2021.5 ათასი კაციდან 1998.3 ათას კაცამდე მერყეობდა. დასაქმებულთა უმეტესობა (ე.ი. თვითდასაქმებულები და დაქირავებულები) თვითდასაქმებულია. საქსტატის მონაცემთა მიხედვით, თვითდასაქმებულთა კატეგორია უმეტესად სოფლის მეურნეობაშია კონცენტრირებული, სადაც მათი წილი 48%-ს შეადგენს. 2016 წელს, დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში თვითდასაქმებულთა და დაქირავებულთა წილები, შესაბამისად, 57.3% და 42.3% იყო. ამავდროულად, 2016 წელს, დაქირავებულ თანამშრომელთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით 1.1%-ით, ხოლო თვითდასაქმებულთა რაოდენობა 0.7%-ით შემცირდა. საინტერესოა, რომ დასაქმებისა და უმუშევრობის დონე 0.2%-ით შემცირდა (უმუშევრობის დონე 2016 წელს – 11.8%, ხოლო 2015 წელს – 12%; დასაქმების დონე 2016 წელს – 59.5%, ხოლო 2015 წელს – 59.7%). იმავე პერიოდში უმუშევართა რაოდენობა 6.5 ათასი კაცით შემცირდა. 2016 წელს უმუშევრობის დონე ქალაქში უფრო მაღალი იყო, ვიდრე სოფლად (21.1% და 5.0%), ძირითადად სოფლის მეურნეობაში დასაქმების გამო.

- **საქართველოში უმუშევრობის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად კვლავაც რჩება ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის მაღალი დონე.**



2016 წელს, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებს შორის უმუშევრობის თვალსაზრისით, ყველაზე დაუცველ ჯგუფს წარმოადგენდნენ 15-19 და 20-24 წლის ახალგაზრდები. უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალი იყო 15-19 წლის ასაკობრივ

* სისხლძარღვთა გამაფართოებელი მედიკამენტები (25.2%-მდე), ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტები (4.4%-მდე), ანტიბიოტიკები (13.6%-მდე), ვიტამინები (18.5-მდე), საქმლის მომნელებელი სისტემის მედიკამენტები (23.2%-მდე) და ანთების საწინააღმდეგო მედიკამენტები (14.0%).

** 2017 წლის პირველი იანვრიდან აქციზის გადასახადი გაიზარდა თამბაქოზე, ნავთობპროდუქტებსა და ავტომობილებზე.

ჯგუფში (31.9%). გასულ წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი 5.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. უმუშევრობის მაჩვენებელი მაღალი იყო 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფშიც და 30.0%-ს უდრიდა. ამავე დროს, 2016 წელს საშუალო თვიური ხელფასი 940 ლარს გაუტოლდა, რაც 2015 წელთან შედარებით (900 ლარი) გაზრდილი მაჩვენებელია. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, საშუალო თვიური ხელფასის წლიური ზრდის მაჩვენებელი 2.2%-ით გაიზარდა (2010 წლის ფასებში). აბსოლუტური გამოსახულებით, მამაკაცების ხელფასი უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე ქალებისა: მამაკაცების საშუალო ნომინალურმა ხელფასმა 1074.3 ლარიდან (2015 წ.) 1116.6 ლარამდე (2016 წ.) მოიმატა, ქალების საშუალო ნომინალურმა ხელფასმა კი – 692.5 ლარიდან (2015 წ.) 731.2 ლარამდე (2016 წ.).

- **მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯანდაცვასა და სოციალურ დახმარებაზე მთავრობის მიერ გაწეული ხარჯები 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, შემცირდა.**

2016 და 2017 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, ნომინალური გამოსახულებით, შესაბამისად, 6.4%-ით და 10.0%-ით გაიზარდა. 2016 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტში განათლებაზე გაწეული ხარჯების წილი 0.4% პროცენტული პუნქტით გაიზარდა. მეორე მხრივ, 2016 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში, ჯანდაცვის ხარჯები 0.6 პროცენტული ერთეულით, ხოლო სოციალურ დახმარებაზე გაწეული ხარჯები – 1 პროცენტული ერთეულით შემცირდა. 2018 წლის ბიუჯეტის მიხედვით, მთლიანი სახელმწიფო ხარჯებისთვის 11.4 მილიარდი ლარია გამოყოფილი, რაც გასულ წელთან შედარებით 9.7%-იან მატებას ნიშნავს. 2018 წელს, მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტში განათლებისთვის გაწეული ხარჯების წილი 0.4 პროცენტული პუნქტით შემცირდება. ამასთანავე, მოსალოდნელია ჯანდაცვის ხარჯების წილის შემცირებაც 0.7 პროცენტული პუნქტით, სოციალური დაცვის ხარჯებისა კი – 1.0 პროცენტული პუნქტით.

- **პენსიები და მიზნობრივი სოციალური დახმარება, ბავშვთა დახმარების პროგრამასა და სხვადასხვა კატეგორიებისთვის განკუთვნილ სოციალურ დახმარებებთან ერთად, საქართველოში სოციალური დაცვის მთავარი ინსტრუმენტებია.**

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ყველაზე დიდი წილი სოციალური დაცვის ხარჯებს უკავია და 2017 წელს ცენტრალური ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 24.6%-ს შეადგენდა (მშპ-ს 6.7%). სოციალური პენსიების წილი სოციალური დაცვისთვის გამოყოფილი მთლიანი ხარჯების დაახლოებით 62%-ს უდრიდა. საქართველოში სოციალური დახმარების ყველაზე დიდმა პროგრამამ, ხანდაზმულობის პენსიამ, 2017 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 4.2% შეადგინა. საქართველოში ხანდაზმულობის პენსიის თანხა ფიქსირებულია და საპენსიო ასაკის (65 წელს გადაცილებულ მამაკაცებსა და 60 წელს გადაცილებულ ქალებზე) ყველა პირზე გაიცემა. 2017 წლის სექტემბრის მდგომარეობით, ხანდაზმულობის პენსია 729,162-მა ადამიანმა მიიღო და მისმა მთლიანმა თანხამ 132,268,484 ლარი შეადგინა*. საქართველოს სოციალური დაცვის სისტემაში, ფულადი დახმარების სიდიდით მეორე ადგილზეა მიზნობრივი სოციალური დახმარება (TSA). მისი მიზანია იმ ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობების გაუმჯობესება, რომლებიც ფინანსურ და მატერიალურ პრობლემებს განიცდიან.
2013 წლის ბოლოს, საქართველოს მთავრობამ მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის განხორციელების ტექნიკური ასპექტების გადასინჯვა წამოიწყო. შედეგად, ახალი კანონმდებლობა მიიღეს, რომელმაც მიზნობრივი სოციალური დახმარების ფორმულა და სქემა შეცვალა. ასევე, დაემატა ახალი მიზნობრივი პროგრამა –

* სოციალური მომსახურების სააგენტო, 2017

„ბავშვთა დახმარების პროგრამა“ (CPB). მისი განხორციელება 2015 წლის ივნისში დაიწყო*, ხოლო კომპენსაციები 2015 წლის აგვისტოში განისაზღვრა. მიზნობრივი სოციალური დახმარების ოდენობა 30-60 ლარის ფარგლებში მერყეობს და მოწყვლადობის ქულაზეა დამოკიდებული. ამასთან ერთად, თითოეული ოჯახი, რომელსაც 100 000 ქულამდე აქვს, 16 წლამდე ასაკის ყოველი ბავშვისთვის 10 ლარს იღებს. 2017 წლის სექტემბრის მდგომარეობით, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 324,177 შინამეურნეობა (ანუ 977,055 ადამიანი) იყო რეგისტრირებული**. აღნიშნულ პერიოდში, ყოველთვიური ფულადი დახმარება 132,051 ოჯახმა (შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობის 12.4%-მა), ე.ი. 459,699 ადამიანმა მიიღო. მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის თვიური ბიუჯეტი 21,128,468 ლარს შეადგენდა. საქართველოში სოციალური დაცვისთვის განკუთვნილი კიდევ ერთი დახმარებაა ბენეფიციართა სხვადასხვა კატეგორიებისთვის დადგენილი შეღავათები. ამ ტიპის დახმარებაში შედის სოციალური პაკეტი, ოჯახის დახმარება, კომუნალური გადასახადების შეღავათები და იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება. მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის ჯგუფებისთვის დადგენილ შეღავათებს მარჩენალდაკარგულები, პირველი ჯგუფის ინვალიდები, ომის ვეტერანები და პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლები იღებენ. ამავე დროს, მუნიციპალიტეტების უმეტესობა ფულად და მატერიალურ დახმარებებსაც გასცემს, თუმცა მათი ბენეფიციარების რაოდენობა და დახმარების თანხები საკმაოდ მცირეა.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, 2017 წელს ჩატარებული „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ შედეგების უფრო დეტალურ ანალიზს ანგარიშის მომდევნო თავებსა და ქვეთავებში წარმოგიდგენთ.

* World Bank 2016, “Continuous Improvement: Strengthening Georgia’s Targeted Social Assistance Program”, იხ. ბმული: https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/24812

** სოციალური მომსახურების სააგენტო, 2017

შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები

- **2017 წლის „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ შედეგების მიხედვით, ბოლო ორი წლის მანძილზე შინამეურნეობების რეალური შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზარდა.**

თუ 2015 წელს საქართველოში შინამეურნეობების ნომინალური საშუალო თვიური შემოსავალი 608.9 ლარს შეადგენდა, 2017 წელს ეს მაჩვენებელი 771.9 ლარამდე გაიზარდა*, რაც 26.8%-იან ზრდას ნიშნავს. შინამეურნეობის საშუალო თვიურ შემოსავალში ხელფასს ყველაზე დიდი წილი – 52.2% უკავია; მას მოსდევს სოციალური ტრანსფერი (22.4%), თვითდასაქმება (19.1%) და სხვადასხვა კომპონენტები, როგორიცაა,

მაგალითად, ქირა ან კერძო ფულადი გზავნილები 7%. კვლევის წინა ეტაპზე მიღებულ მაჩვენებლებთან შედარებით, შინამეურნეობის რეალური საშუალო თვიური შემოსავალი 18.8%-ით გაიზარდა. შეფასების თანახმად, ერთი ეკვივალენტური ზრდასრული პირის (ეზპ)** ნომინალური შემოსავალი 2017 წელს აგრეთვე გაიზარდა (31.3%-ით) და 348.1 ლარი შეადგინა.

* 2017 წელს 1 ლარს იგივე მსყიდველობითი ღირებულება ჰქონდა, რაც 0.951 საერთაშორისო დოლარს (IMF World Economic Outlook Database, October 2017).

** შინამეურნეობების სიდიდისა და შემადგენლობის გათვალისწინების მიზნით, მათი შემოსავალი ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით არის წარმოდგენილი.

- **ურბანულ დასახლებებში მცხოვრები შინამეურნეობების შემოსავალი უფრო მაღალია ვიდრე სოფელში მცხოვრები შინამეურნეობებისა.**

2017 წელს ქალაქში შინამეურნეობების ნომინალური შემოსავალი 867.1 ლარს შეადგენდა, ხოლო სოფლად – 672.7 ლარს. საშუალოდ ქალაქში შინამეურნეობების თვიური შემოსავალი სოფლის შინამეურნეობების შემოსავალს 29%-ით აღემატებოდა. ქალაქებში შინამეურნეობის მთლიან თვიურ შემოსავალში ხელფასის



წილი 64.8%-ია, ხოლო სოფლად – 35.2%. ამის საპირისპიროდ, თვითდასაქმებით მიღებული შემოსავალი სოფლებში უფრო მაღალია (მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 30%) ქალაქთან შედარებით (10.9%). უფრო მეტიც, სოფლად შინამეურნეობების მიერ სოციალური ტრანსფერებით მიღებული შემოსავალი მნიშვნელოვნად მაღალია (27.1%), ვიდრე ქალაქში (18.9%). შეფასების მიხედვით, ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე (ეზპ)* შემოსავალი ქალაქში უფრო მაღალია (399.9 ლარი), ვიდრე სოფლად (294.1 ლარი). ნომინალური გამოსახულებით, ქალაქში, სოფელთან შედარებით, ერთი ეკვივალენტური ზრდასრული პირის (ეზპ)** შემოსავალი 36%-ით უფრო მაღალია. ინფლაციის გათვალისწინებით, 2015-დან 2017 წლამდე პერიოდში, შინამეურნეობის საშუალო შემოსავალი, ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით, 23.1%-ით გაიზარდა.

- **კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ 2015 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში შინამეურნეობების რეალური ხარჯები შემცირდა.**

კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში, გასული ორი წლის განმავლობაში, შინამეურნეობების საშუალო ნომინალური თვიური ხარჯები (788.6 ლარი) 4.1%-ით შემცირდა. ინფლაციის გათვალისწინებით, შინამეურნეობების საშუალო თვიური მოხმარება 2015 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში 10.1%-ით შემცირდა. რაც შეეხება ხარჯების განაწილებას, 2017 წელს შინამეურნეობების მიერ საკვებ პროდუქტებზე გაწეული ხარჯები მთლიანი ხარჯების 36.7%-ს შეადგენდა. საშუალოდ ერთი შინამეურნეობა გრძელვადიანი მოხმარების არასაკვებ პროდუქტებზე 33.8%-ს, ხოლო ჯანდაცვასა და მიმდინარე არასაკვებ პროდუქტებზე – შესაბამისად 8.7% და 14.8%-ს ხარჯავდა. ამასთან ერთად, შემოსავლების მცირე ნაწილი განათლებასა (2.8%) და სახლის გარეთ კვებაზე (3.1%) იხარჯებოდა. 2015-დან 2017 წლამდე პერიოდში, შინამეურნეობის რეალური ხარჯების მთლიან სტრუქტურაში*** საკვები პროდუქტების, გრძელვადიანი მოხმარების არასაკვები პროდუქტებისა და განათლების წილები, შესაბამისად, 17.5%, 20.1% და 20.3%-ით შემცირდა. ამის საპირისპიროდ, ჯანდაცვაზე, სახლის გარეთ კვებასა და მიმდინარე არასაკვებ პროდუქტებზე გაწეული ხარჯები, შესაბამისად, 6.3%, 8.0% და 51.8%-ით გაიზარდა. შეფასებების მიხედვით, 2017 წელს, შინამეურნეობის საშუალო

* შინამეურნეობების სიდიდისა და შემადგენლობის გათვალისწინების მიზნით, მათი შემოსავალი ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით არის წარმოდგენილი.

** შინამეურნეობების სიდიდისა და შემადგენლობის გათვალისწინების მიზნით, მათი შემოსავალი ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით არის წარმოდგენილი.

*** კორექტირება 2009 წლის ფასების საფუძველზე.

თვიური მოხმარება, ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე (ეზპ) გაანგარიშებით, 356.7 ლარი იყო. ინფლაციის გათვალისწინებით, 2015-დან 2017 წლამდე პერიოდში შინამეურნეობის მიერ პროდუქტების/სერვისების საშუალო მოხმარება, ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით, 6.3%-ით შემცირდა.

- **საშუალოდ, შინამეურნეობები ურბანულ დასახლებებში უფრო მეტს ხარჯავენ გრძელვადიანი მოხმარების არასაკვებ პროდუქტებზე, სახლის გარეთ კვებასა და განათლებაზე, ხოლო სოფლის შინამეურნეობები – სახლში კვებასა და ჯანდაცვაზე.**

ნომინალური გამოსახულებით, 2017 წელს ქალაქის მცხოვრებლები საშუალოდ 827.3 ლარს ხარჯავდნენ, რაც 10.6%-ით აღემატება იმავე პერიოდში სოფლის მცხოვრებლების მიერ გაწეულ ხარჯებს (748.2 ლარს). ურბანულ დასახლებებში, შინამეურნეობის მიერ სახლში კვებაზე გაწეული ხარჯები მთლიანი თვიური ხარჯების 32.9%-ს, ხოლო სოფლად – 41.2%-ს შეადგენდა. ამის საპირისპიროდ, „სახლის გარეთ კვების ხარჯები“ ქალაქებში უფრო მაღალი იყო (მთლიანი ხარჯების 3.7%), ვიდრე სოფლებში (2.4%). ამასთან ერთად, „გრძელვადიანი მოხმარების არასაკვებ პროდუქტებზე“ და „განათლებაზე“ გაწეული ხარჯები ურბანულ დასახლებებში ბევრად აღემატებოდა (36.3% და 3.7%) სოფლად იმავე კატეგორიებზე გაწეულ ხარჯებს (30.9% და 1.8%). ქალაქებში, ჯანდაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა მთლიანი თვიური ხარჯების 8.5% შეადგინა, ხოლო სოფლებში – 8.9%. 2017 წელს, ქალაქში მცხოვრები შინამეურნეობების მიერ პროდუქტების/მომსახურების საშუალო თვიური მოხმარება, ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით, 376.4 ლარს უდრიდა, ხოლო სოფლებში – 336.3 ლარს. ამავდროულად, სოფლად შინამეურნეობების მიერ პროდუქტების/მომსახურების მოხმარების რეალური ხარჯები, ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით, 0.4%-ით, ქალაქებში კი – 10.9%-ით შემცირდა.

- **საქართველოში შემოსავლების უთანასწორობა შემცირდა, მოხმარების უთანასწორობა კი, იმავე დონეზე დარჩა.**

2015-დან 2017 წლამდე პერიოდში, ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით, შემოსავლების უთანასწორობა 0.43-დან 0.42-მდე შემცირდა. ქალაქებში ეს მაჩვენებელი 0.42-დან 0.41-მდე შემცირდა, ხოლო სოფლებში 0.39-დან 0.42-მდე გაიზარდა. მთლიანობაში, საქართველოში მოხმარების უთანასწორობა 2015 წლის შემდეგ არ შეცვლილა (2015 წ. – ჯინის ინდექსი = 0.36 ხოლო 2017 წ. – ჯინის ინდექსი = 0.36). ამის მიუხედავად, სოფლად მოხმარების უფრო მაღალი უთანასწორობა იკვეთება (ჯინის ინდექსი = 0.36), ვიდრე ურბანულ დასახლებებში (ჯინის ინდექსი = 0.35).

სიღარიბის მონეტარული მაჩვენებლები

- **„მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ ბოლო ეტაპზე მიღებული მონაცემების მიხედვით, საქართველოში სიღარიბის მაჩვენებლები გაიზარდა.**

„მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ წინა ანგარიშების მსგავსად, საქართველოს მოსახლეობის სიღარიბისა და კეთილდღეობის მდგომარეობა, წარმოდგენილ ანგარიშშიც სამომხმარებლო ხარჯების ანალიზის



საფუძველზე შეფასდა. ეროვნულ დონეზე, შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობის 4.3%, მოსახლეობის 5.0%, ბავშვების 6.8% და პენსიონერების 3.7% უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს (უკიდურესი სიღარიბის ზღვრად მიჩნეულია 1.25 აშშ დოლარი დღეში, რაც ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე თვეში 82.8 ლარს შეესაბამება). შეფასების თანახმად, უკიდურეს სიღარიბეში მყოფი პირების წილი სოფლად 4.0%-ია, ხოლო ურბანულ დასახლებებში – 4.5%. 2015 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში, უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი შინამეურნეობების, მოსახლეობის, ბავშვებისა და პენსიონერების რაოდენობა, შესაბამისად, 2.6, 2.9, 4.3, და 2.0 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

- **კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შინამეურნეობების 22.5% ფარდობითი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს და სოფლისა და ქალაქის დასახლებებს შორის სხვაობა დიდია (24.1% - 20.9%).**

გასული ორი წლის განმავლობაში ფარდობითი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები შინამეურნეობებისა და მოსახლეობის წილი, შესაბამისად, 20.7%-დან 22.5%-მდე და 23.1%-დან 24.8%-მდე გაიზარდა (ფარდობითი სიღარიბის ზღვარი დადგენილია მედიანური მოხმარების 60%-ზე, რაც ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე თვეში 177.1 ლარს შეესაბამება). ღარიბ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების რაოდენობა 26.8%-დან 31.6%-მდე გაიზარდა.

ფარდობითი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებ პენსიონერთა წილიც 19.3%-დან 20.4%-მდე გაიზარდა. შეფასებების მიხედვით, სოფლებში ფარდობითი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს შინამეურნეობების 24.1%, ხოლო ურბანულ დასახლებებში – შინამეურნეობების 20.9%.

- **საქართველოში, ზოგადი სიღარიბის დონე გაიზარდა. თუ 2015 წელს ეს მაჩვენებელი შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობის 16.4%-ს შეადგენდა, 2017 წელს ის 19.6%-მდე გაიზარდა; ამის მიუხედავად, 2013 წელთან შედარებით მდგომარეობა მაინც უკეთესია.**

საქართველოში ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს შინამეურნეობების 19.6%, მოსახლეობის 21.7%, ბავშვების 27.6% და პენსიონერების 17.6% (ზოგადი სიღარიბის ზღვრად მიჩნეულია 2.5 აშშ დოლარი დღეში, რაც ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე თვეში 165.5 ლარს შეესაბამება). შეფასების მიხედვით, ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ სოფლად შინამეურნეობების 20.8% და ქალაქად – 18.4% ცხოვრობს. 2015 წელთან შედარებით, 2017 წელს ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები შინამეურნეობების, მოსახლეობის, ბავშვების და პენსიონერების რიცხვი, შესაბამისად, 3.2, 3.3, 5.9 და 2.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. იმის მიუხედავად, რომ ბოლო პერიოდში ზოგადი სიღარიბის ზრდა სამწუხარო ფაქტია, ეს მაჩვენებლები მაინც უკეთესია 2013 წელთან შედარებით, როდესაც, ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ შინამეურნეობების 21.8%, მოსახლეობის 24.6%, ბავშვების 28.4% და პენსიონერთა 20.6% ცხოვრობდა.

- **ამ კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებით, საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ბავშვების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა; ყოველი მეხუთე ბავშვი ისეთ შინამეურნეობაში ცხოვრობს, რომლის წევრთა მინიმალური მოთხოვნილებები დაუკმაყოფილებელია.**

შეფასების თანახმად, ქვეყნის მასშტაბით, შინამეურნეობების 15.8%, მოსახლეობის 17.5%, ბავშვების 22.1% და პენსიონერთა 13.9% საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს (საარსებო მინიმუმად დადგენილია თვეში 148.3 ლარი ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე). 2015-დან 2017 წლამდე პერიოდში, საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები შინამეურნეობების, მოსახლეობის, ბავშვებისა და პენსიონერთა რიცხვი, შესაბამისად, 3.9, 4.2, 6.5 და 3.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

- **ბავშვიან შინამეურნეობებში სიღარიბის მაჩვენებლები უფრო მაღალია.**

2017 წელს, შინამეურნეობების 33%-ს სულ მცირე ერთი ბავშვი მაინც ჰყავდა. აღსანიშნავია, რომ შინამეურნეობებში ბავშვთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვნად იზრდება ფარდობითი და ზოგადი სიღარიბის მაჩვენებლებიც. მაგალითად, ფარდობითი და ზოგადი სიღარიბის ზღვრებს ქვემოთ ცხოვრობს ერთ ან ორბავშვიანი ოჯახების, შესაბამისად 27.2% და 24.5%. როცა საქმე სამ ან მეტ ბავშვიან შინამეურნეობებს ეხებათ, ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელი თითქმის 39.9%-მდე, ხოლო ზოგადი სიღარიბის შემთხვევაში – 33.4%-მდე იზრდება.

- **ბავშვთა სიღარიბის რისკი უფრო დაბალია ისეთ შინამეურნეობებში, რომელთა ზრდასრული წევრის განათლების დონე შედარებით მაღალია, ან რომელთა ზრდასრულ წევრსაც რეგულარული ანაზღაურებადი სამუშაო აქვს.**

სიღარიბის ყველა დონეზე, ღარიბ ოჯახებში მცხოვრები ბავშვების პროცენტული წილი კვლავაც უფრო მაღალია, ვიდრე მთელი მოსახლეობის, ან პენსიონერთა პროცენტული

წილი. ერთი მხრივ, შინამეურნეობებში, მთლიან მოსახლეობასა თუ ბავშვებში სიღარიბის დაბალი მაჩვენებელი პირდაპირ კავშირშია ოჯახებში ზრდასრულთა განათლების მაღალ დონესთან. მეორე მხრივ, შინამეურნეობაში რეგულარულად დასაქმებული წევრის ყოლა ორჯერ მეტად ამცირებს ბავშვთა ზოგადი და ფარდობითი სიღარიბის რისკს.

- **სავარაუდოდ, სიღარიბის ზრდა გამოწვეული იყო ეკონომიკური ზრდის შენელებული ტემპით და გაზრდილი სამომხმარებლო ფასებით.**

მიუხედავად იმისა, რომ 2013-2015 წლებში საქართველოში სიღარიბის დონე მცირდებოდა, მომდევნო პერიოდში ის საგრძნობლად გაიზარდა. სავარაუდოდ, სიღარიბის მიმართ შინამეურნეობებისა და ცალკეული პირების მოწყვლადობა ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებით იყო გამოწვეული. როგორც წესი, სიღარიბის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას მიიჩნევენ*. 2015-2016 წლებში საქართველოს ეკონომიკამ ვარდნა განიცადა, როდესაც მშპ-ს რეალური ზრდა 3%-ზე დაბალი იყო. ეს მაჩვენებელი ზომიერ 5%-იან ზრდის ტემპს 2017 წელს დაუბრუნდა. ამის მიუხედავად, ინფლაციის მაღალმა დონემ (რომელიც სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით ფასდება) კიდევ უფრო შეამცირა ეკონომიკური ზრდის ზეგავლენა სიღარიბის მაჩვენებლებზე. გასული ორი წლის განმავლობაში, ლარის ძლიერი გაუფასურების ფონზე, სამომხმარებლო ფასებმა მნიშვნელოვნად მოიმატა საკვებ პროდუქტებზე, თამბაქოზე, ალკოჰოლურ სასმელებზე, ჯანდაცვაზე, კომუნალურ მომსახურებასა და ტრანსპორტზე. ასეთმა ეკონომიკურმა წნეხმა შინამეურნეობების ხარჯების სტრუქტურა შეცვალა. 2015 წელს ჩატარებული „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ მიხედვით, შინამეურნეობებს ნაკლები შემოსავლით, მეტის დახარჯვა უწევდათ (საშუალო ხარჯები 821.8 ლარი იყო, ხოლო საშუალო შემოსავალი 608.9 ლარი). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჭარბი ხარჯები დანაზოგების მეშვეობით იფარებოდა. 2017 წელს შინამეურნეობებმა, შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდის ფონზე, ხარჯები შეამცირეს (საშუალო ხარჯი შეადგენდა 788.6 ლარს, საშუალო შემოსავალი კი 771.9 ლარი იყო). მაღალი სამომხმარებლო ფასებისა და ადგილობრივი ვალუტის დაბალი მსყიდველობითი უნარის პირობებში, შემოსავლების ზრდამ შინამეურნეობებს ეკონომიკური კეთილდღეობა ვერ მოუტანა. ზოგადად, შინამეურნეობების ხარჯების განაწილება პროდუქტების ფასსა და მოხმარების მოცულობას ასახავს. კვლევა გვიჩვენებს, რომ შინამეურნეობების მიერ საკვებზე, განათლებასა და გრძელვადიანი მოხმარების პროდუქტებზე გაწეული ხარჯები სამომხმარებლო ფასების ზრდასთან ერთად შემცირდა. დიდი ალბათობით, შინამეურნეობებმა დანაზოგები ამოწურეს, ხოლო დამატებით ფინანსურ რესურსებზე ხელი ნაკლებად მიუწვდებოდათ, რის გამოც კიდევ უფრო მოწყვლადნი გახდნენ. უფრო მეტიც, ფართოდ გავრცელებული ფაქტია, რომ დაბალი შემოსავლების მქონე შინამეურნეობების ბიუჯეტში საკვებზე გაწეული ხარჯების წილი უფრო მაღალია. ეს ნიშნავს, რომ 2015 წელს დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახებზე უფრო მეტად აისახა ინფლაციური პროცესები, ვიდრე მაღალშემოსავლიან შინამეურნეობებზე. ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში შინამეურნეობების ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა და მეტი შინამეურნეობა გაღარიბდა.

* Iceland, J., Kenworthy, L., & Scopilliti, M. (2005), Macroeconomic performance and poverty in the 1980s and 1990s: A state level analysis. Discussion Paper, 1299-05. Madison, WI: Institute for Research on Poverty.

სიღარიბის არამონეტარული მაჩვენებლები

სიღარიბე მრავალგანზომილებიანი ფენომენია. ზემოთ წარმოდგენილი „მოსახლეობის კეთილდღეობის ანალიზი“ მოხმარების მონაცემებზე დაყრდნობით იმიტომ გაკეთდა, რომ მასში შესაძლებელი ყოფილიყო შინამეურნეობების ცხოვრების პირობების გათვალისწინება და მოსახლეობის ღარიბი ჯგუფების გამოვლენა. იმის გამო, რომ სიღარიბე მხოლოდ მოხმარების დეფიციტს არ უკავშირდება და მრავალგანზომილებიანი სახე აქვს, წარმოდგენილ ანალიზში მოსახლეობის კეთილდღეობა სიღარიბის არამონეტარული პარამეტრებითაც არის შეფასებული.

- **შესწავლილ პერიოდში შემცირდა ბავშვების მატერიალური დეპრივაციისა და შინამეურნეობების, მოსახლეობის, ბავშვებისა და პენსიონერების საცხოვრებლის მხრივ დეპრივაციის დონეები.**

კვლევის შედეგები გვიჩვენებენ, რომ 2017 წელს მატერიალურ დეპრივაციას შინამეურნეობების 6.1% განიცდიდა*. თუმცა მისი ზემოქმედება უფრო ძლიერია პენსიონერებსა (7.1%) და მთლიან მოსახლეობაზე (3.7%), ვიდრე ბავშვებზე (2.4%). ბოლო ორი წლის განმავლობაში მატერიალური დეპრივაციის მაჩვენებელი ოდნავ გაიზარდა ყველა ჯგუფისათვის, გარდა ბავშვებისა (ბავშვთა მატერიალური დეპრივაცია 0.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა). რაც შეეხება საცხოვრებლის მხრივ დეპრივაციას**, ეს მაჩვენებელი ბევრად უარესია სოფლად, ვიდრე ქალაქად. 2015-დან 2017 წლამდე პერიოდში, იმ შინამეურნეობების, მოსახლეობის, ბავშვთა და პენსიონერების რაოდენობა, რომლებიც საცხოვრებლის მხრივ დეპრივაციას განიცდიან, შესაბამისად, 4.7, 4.3, 3.5 და 4.8 პროცენტული ერთეულით შემცირდა.

- **სიღარიბის სუბიექტური შეფასების მაჩვენებელი მოსახლეობის ყველა ჯგუფში შემცირდა.**

იმის მიუხედავად, რომ 2017 წელს სამომხმარებლო სიღარიბე გაიზარდა, თავს ღარიბად ნაკლები ადამიანი გრძნობს. ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ 2017 წელს სუბიექტური სიღარიბე შინამეურნეობების 33.7%-ში*** გამოვლინდა, ხოლო 2015 წელს –

38.4%-ში. უფრო მეტიც, სუბიექტურად ღარიბი შინამეურნეობები მთლიანი მოსახლეობის 30%-ს, ბავშვების 27.5%-ს და პენსიონერთა 36.0%-ს მოიცავს. კვლევის შედეგები გვიჩვენებენ, რომ ბავშვების შემთხვევაში, სხვაობა ზოგად სიღარიბესა და სუბიექტურ სიღარიბეს შორის მინიმალურია. კერძოდ,

* მატერიალურ დეპრივაციად მიიჩნევა იმ შინამეურნეობების მდგომარეობა, რომლებსაც არ აქვთ ხუთი ან მეტი საგანი ქვემოთ ჩამოთვლილი საგნებიდან: მტვერსასრუტი, მანქანა, სარეცხის მანქანა, მაცივარი, მობილური ტელეფონი, უთო და ტელევიზორი.

** მატერიალურ დეპრივაციად მიიჩნევა იმ შინამეურნეობების მდგომარეობა, რომლებსაც არ აქვთ ხუთი ან მეტი საგანი ქვემოთ ჩამოთვლილი საგნებიდან: მტვერსასრუტი, მანქანა, სარეცხის მანქანა, მაცივარი, მობილური ტელეფონი, უთო და ტელევიზორი.

*** სუბიექტური სიღარიბე შინამეურნეობების თვითშეფასებით განისაზღვრება. სუბიექტურად ღარიბ შინამეურნეობებად მიიჩნევა ის შინამეურნეობები, რომლებიც აცხადებენ, რომ ვერ უზრუნველყოფენ საკუთარ თავს საკმარისი საკვებით, ან ისე ცუდად იკვებებიან, რომ მათ ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება.

ბავშვების 27.6% ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ შინამეურნეობებში ცხოვრობს, ხოლო 27.5% – სუბიექტურად ღარიბ შინამეურნეობებში. სუბიექტური სიღარიბის დონის შემცირება შეიძლება რეალური შემოსავლების ზრდით იყოს გამოწვეული.

- **უმუშევრობის პრობლემა განსაკუთრებით მძიმეა ბავშვიანი შინამეურნეობებისთვის, მაშინ, როცა იმ შინამეურნეობებში, სადაც ბავშვები არ ცხოვრობენ, მთავარი პრობლემა მედიკამენტების ფასებია.**

2017 წლის კვლევამ აგრეთვე აჩვენა, რომ უმუშევრობის პრობლემა განსაკუთრებით ხშირად ბავშვიან შინამეურნეობებში გვხვდება (შინამეურნეობების 28%-ში, მაშინ, როცა იმ შინამეურნეობებში, სადაც ბავშვები არ ცხოვრობენ, ეს მაჩვენებელი 19%-ია). იმ შინამეურნეობებისთვის, რომლებსაც ბავშვები არ ჰყავდათ, ყველაზე მძიმე პრობლემა წამლების ყიდვის შეუძლებლობაა (ამ პრობლემაზე მიუთითა უბავშვო შინამეურნეობების 33%-მა და ბავშვიანი შინამეურნეობების 17%-მა). ბავშვიან შინამეურნეობათა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთა ძირითად პრობლემას სესხის ან საბანკო კრედიტის გადახდა წარმოადგენდა, 16%-დან (2015) 17%-მდე გაიზარდა; უბავშვო შინამეურნეობებში კი ამ მაჩვენებელმა 10%-დან (2015) 8%-მდე (2017) დაიწია.

- **საქართველოში შემცირდა იმ შინამეურნეობების რაოდენობა, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებათ სასმელი წყლის გაუმჯობესებულ წყაროებზე.**

იმ შინამეურნეობებში მცხოვრები ადამიანების რაოდენობა, რომლებსაც სასმელი წყლის გაუმჯობესებულ წყაროებზე ხელი არ მიუწვდებოდა, ქვეყნის მასშტაბით, 1.7 პროცენტული პუნქტით – 4.2%-დან (2015 წ.) 2.5%-მდე (2017 წ.) – შემცირდა. ამჟამად, მოსახლეობის 20.1%, ისეთ შინამეურნეობებში ცხოვრობს, რომლებსაც გაუმჯობესებულ სანიტარულ პირობებზე ხელი არ მიუწვდება, რაც 2015 წლის მაჩვენებელთან შედარებით 3.8 პროცენტული პუნქტით ნაკლებია.

- **სოციალური გარიყულობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ყველა ასპექტში, გარდა მიწაზე საკუთრებისა და დასაქმების ხელმისაწვდომობისა.**

სოციალური გარიყულობა არამონეტარული სიღარიბის კიდევ ერთი განზომილებაა, რომელიც ამ კვლევამ შეისწავლა*. 2015 წლის შემდეგ, სოციალური გარიყულობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ყველა ასპექტში, გარდა მიწაზე საკუთრებისა და დასაქმების ხელმისაწვდომობისა. იმ შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომლებიც მიწაზე საკუთრების ან დასაქმების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემების წინაშე იდგნენ, 2015 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში 3.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე შინამეურნეობების რიცხვი 44.1%-დან 22.9%-მდე შემცირდა; განათლების ხელმისაწვდომობის ნაკლებობის მქონე შინამეურნეობების წილი ასევე შემცირდა 15.3%-დან 8.2%-მდე; კრედიტების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე შინამეურნეობების წილი – 5.0%-დან 3.6%-მდე, სოციალური დახმარების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე შინამეურნეობების წილი კი, 11.9%-დან 9.5%-მდე. მთლიანობაში, 2017 წელს სოციალურ გარიყულობას განიცდიდა შინამეურნეობების 2.8%, მათ შორის მთლიანი მოსახლეობის 2.6%, ბავშვების 2.9% და პენსიონერების 2.5%.

* შინამეურნეობა სოციალურად გარიყულად ითვლება, თუ გარიყულობის ქვემოთ ჩამოთვლილი ასპექტებიდან მას მინიმუმ სამი ახასიათებს: არასრული განათლება, მიწის არქონა ან უმუშევრობა, სამედიცინო მომსახურებაზე, კრედიტებსა და სოციალურ დახმარებაზე მიუწვდომლობა.

ახლად გაღარიბებული შინამეურნეობების მახასიათებლები

- **ზოგადი სიღარიბის დონეზე, 2015 წლიდან 2017 წლამდე, გაცილებით მეტი პანელური შინამეურნეობა გაღარიბდა, ვიდრე სიღარიბეს დააღწია თავი.**

პანელურ შინამეურნეობებად ის შინამეურნეობები მიიჩნევა, რომლებმაც 2015 და 2017 წლებში მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევაში მიიღეს მონაწილეობა. კვლევის შედეგების თანახმად, ზოგად სიღარიბეს, ორი წლის განმავლობაში, პანელური შინამეურნეობების მხოლოდ 9.4%-მა დააღწია თავი, მაშინ როცა 13.5% გაღარიბდა.

- **ბავშვები კვლავ ყველაზე ნაკლებად გადადიან ხარჯების მიხედვით დაყოფილი ერთი ჯგუფიდან (კვინტილიდან) მეორეში.**

2015 წელს პირველ კვინტილში მყოფი შინამეურნეობების 44% 2017 წელს კვლავ პირველ კვინტილში დარჩა, მაშინ როცა მათმა 11% და 3%-მა მეოთხე და მეხუთე კვინტილში გადაინაცვლა. ხარჯების კვინტილებში გადაადგილების თვალსაზრისით, შინამეურნეობების, მოსახლეობის, ბავშვებისა და პენსიონერების შედარებისას, ჩანს, რომ ღარიბი ბავშვების ჯგუფი ყველაზე ნაკლებად დინამიურია. კერძოდ, 2015 წელს პირველ კვინტილში შემავალი ბავშვების უდიდესი წილი, 2017 წელს კვლავ პირველ კვინტილში დარჩა (56%).

- **ზოგად სიღარიბეში მცხოვრები ოჯახების ნახევარზე მეტი ქრონიკულად ღარიბია.**

ქრონიკული სიღარიბე მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის პანელური მონაცემების საფუძველზე შეფასდა. შინამეურნეობა ქრონიკულად ღარიბად მიიჩნევა, თუ 2011 წლის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის ჩატარების შემდგომ, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, სამჯერ ან მეტჯერ აღმოჩნდა. შედეგების მიხედვით, შინამეურნეობების დაახლოებით 12.2%, მოსახლეობის 14.5%, ბავშვების 18.2% და პენსიონერების 10.1% ქრონიკულად ღარიბია და ზოგადი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. შედეგი გვაჩვენებს, რომ ქრონიკულად ღარიბების უფრო ეფექტიანი მხარდაჭერის მიზნით, საჭიროა პოლიტიკის ინსტრუმენტების შემუშავება და მათი განვითარებისა და სოციალური დახმარების პროგრამებში ინტეგრირება.

სოციალური ტრანსფერები

- **კვლევის მიგნებების თანახმად, 2017 წელს, გარკვეული ტიპის სოციალურ შემწეობას შინამეურნეობების 67.5% იღებდა.**

2017 წლის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის ანალიზი დახმარების სამ ძირითად სახეობაზე ამახვილებს ყურადღებას: პენსიები, მიზნობრივი სოციალური დახმარება + ბავშვთა შემწეობა (TSA+CB) და სხვა კატეგორიებზე დაფუძნებული შემწეობები. 2017 წელს პენსიების მიმღები შინამეურნეობების წილი 57.8%-ს შეადგენდა. მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვის შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა 10%-ს უტოლდებოდა, მაშინ როცა სხვა კატეგორიის დახმარებას 2017 წელს 11.7% იღებდა.

პენსიების, მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვის შემწეობის გავლენა სიღარიბეზე

- **პენსიების სახით მიღებული შემოსავალი ისეთი შინამეურნეობების ხარჯების 60%-ზე მეტს შეადგენს, სადაც ერთი პენსიონერი ცხოვრობს, ან რომელიც მხოლოდ პენსიონერისგან შედგება.**

საქართველოში შინამეურნეობების ნახევარზე მეტს (58.9%) ჰყავს მინიმუმ ერთი საპენსიო ასაკის ოჯახის წევრი. 2017 წელს ერთი შინამეურნეობის მიერ მიღებულმა პენსიის საშუალო ოდენობამ თვეში, შინამეურნეობებში, რომელთაც საპენსიო ასაკის ოჯახის წევრები ჰყავთ, 234 ლარი შეადგინა. შინამეურნეობებში, სადაც ერთი პენსიონერი ცხოვრობს, მიღებული მთლიანი საშუალო პენსია საშუალო მოხმარების 61.3%-ს შეადგენს (10.1 პროცენტული პუნქტით მეტი 2015 წელთან შედარებით), ხოლო იმ შინამეურნეობებში, სადაც ერთზე მეტი პენსიონერი ცხოვრობს, ეს მაჩვენებელი 68.7%-ს უტოლდება (2015 წელთან შედარებით 11.7 პროცენტული პუნქტით მეტი). შინამეურნეობის ხარჯებიდან საპენსიო შემოსავლის გამოკლების შემთხვევაში, პენსიონერებში უკიდურესი სიღარიბის დონე მკვეთრად გაიზრდება 3.7%-დან 34.1%-მდე, ხოლო ბავშვებში – 6.8%-დან 13.1%-მდე. კვლევის შედეგების მიხედვით, პენსიების გავლენა ყველაზე დიდია პენსიონერებზე. 2017 წელს, მთავრობის საპენსიო ხარჯებმა 1.6 მილიარდი შეადგინა.

- **მიზნობრივი სოციალური დახმარება + ბავშვის შემწეობა ყველაზე დადებითად მოქმედებს ბავშვთა სიღარიბის შემცირებაზე.**

მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვის შემწეობის შემთხვევაში, მთლიანად გაცემული შემწეობის 69.7% ყველაზე ღარიბ დეცილში შემავალ შინამეურნეობებზე მოდის და მას ამ შინამეურნეობების 54.3% იღებს. ბავშვის დახმარების გამორიცხვის შემთხვევაში, მთლიანი მიზნობრივი სოციალური დახმარების 69.5% (ეს მაჩვენებელი 2015 წელს 64.8% იყო) ყველაზე ღარიბ ოჯახებზე გაიცემა და მას ამ ოჯახების 52.3% იღებს (2015 წელს – 59.4%). აღნიშნული შედეგები მიზნობრივი სოციალური დახმარების მიზნობრიობის გაზრდასა და დაფარვის მაჩვენებლის შემცირებაზე მიუთითებს. მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღები შინამეურნეობების შემთხვევაში, შემწეობას მთლიან ხარჯებში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია. საშუალოდ ეს ოჯახები ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე 70.9 ლარს



იღებენ. ეს შემწეობა მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღები შინამეურნეობის ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე მოხმარების 39%-ის ეკვივალენტს შეადგენს. შინამეურნეობის ხარჯებს მიზნობრივი სოციალური დახმარების სახით მიღებული შემოსავალი რომ გამოვაკლოთ, ბავშვებში უკიდურესი სიღარიბის დონე 6.8%-დან 12.9%-მდე გაიზრდება, პენსიონერებში კი 3.7%-დან 5.6%-მდე. შინამეურნეობის ხარჯებს რომ მიზნობრივი სოციალური დახმარება და ბავშვის შემწეობა გამოვაკლოთ, ბავშვებში უკიდურესი სიღარიბის დონე 6.8%-დან 13.1%-მდე გაიზრდება. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ მიზნობრივ სოციალურ დახმარებასა და ბავშვის შემწეობას ბავშვებზე ყველაზე დიდი გავლენა აქვს. აღსანიშნავია, რომ მიზნობრივი სოციალური დახმარება უფრო მეტად მიმართულია ბავშვიან შინამეურნეობებზე. 2017 წლის მონაცემებით, ბავშვიანი შინამეურნეობების 15.4%-მა მიიღო მიზნობრივი სოციალური დახმარება და ბავშვის შემწეობა, მათ შორის 12.6%-მა – მხოლოდ მიზნობრივი სოციალური დახმარება, ასევე, მხოლოდ მიზნობრივი სოციალური დახმარება მიიღო იმ შინამეურნეობების 7.3%-მა, რომლებსაც ბავშვი არ ჰყავთ. 2017 წელს მიზნობრივ სოციალურ დახმარებასა და ბავშვის შემწეობაზე მთავრობის მიერ გაწეულმა ხარჯებმა 258 მილიონი ლარი შეადგინა.

კატეგორიებზე დაფუძნებული შემწეობების გავლენა სიღარიბეზე

- **2017 წელს შინამეურნეობების 11.7%-მა მინიმუმ ერთი კატეგორიის შემწეობა მიიღო.**

2017 წლის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევაში კატეგორიებზე დაფუძნებული შემწეობების წინა კვლევების შედეგებთან შედარება, მონაცემთა ბაზის შესწორებისა და განახლების გამო, შეუძლებელია. კატეგორიებზე დაფუძნებული შემწეობების დაფარვის დონე საგრძნობლად მაღალია შინამეურნეობების უღარიბეს მეათედში, რომელთაგან შემწეობას 34.2% იღებს. სხვა კატეგორიის შემწეობების საშუალო ოდენობა მათ მიმღებ შინამეურნეობებში თვეში ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე 79.7 ლარს შეადგენს. შემწეობების მიმღები შინამეურნეობები ობოლი ბავშვებით, ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე თვეში 72.7 ლარს იღებენ. ამავე დროს, იმ შინამეურნეობების 62.4%, რომლებსაც შშმ-პირი ოჯახის წევრი ჰყავთ, თვეში ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე საშუალოდ 75.7 ლარს იღებენ; სხვა კატეგორიის შემწეობების ოდენობა იმ შინამეურნეობების 75.4%-ში, სადაც იძულებით გადაადგილებული პირი ცხოვრობს, ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე თვეში 67.5 ლარს უტოლდება. 2017 წელს კატეგორიებზე დაფუძნებულ შემწეობებზე მთავრობის წლიურმა ხარჯმა 525.5 მილიონი ლარი შეადგინა.

- **კატეგორიებზე დაფუძნებული შემწეობები საგრძნობლად ამცირებს სიღარიბეს.**

შინამეურნეობის ხარჯებიდან სხვა კატეგორიის შემწეობები რომ ამოვიღოთ, შინამეურნეობებში, სადაც შშმ-პირი ცხოვრობს, უკიდურესი სიღარიბე 11.2%-დან 23.8%-მდე გაიზრდება, იმ შინამეურნეობებში კი, სადაც იძულებით გადაადგილებული პირის სტატუტის მქონე პირი ცხოვრობს –

8.5%-დან 15.6%-მდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვა კატეგორიის შემწეობების მიმღები შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 60%, ასევე იღებს პენსიებს ან მიზნობრივ სოციალურ დახმარებას, შესაბამისად, სოციალური ტრანსფერების წმინდა ეფექტი სათანადოდ ვერ შეფასდება.

ჯანდაცვა

- **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით დაზღვეული მოსახლეობის წილი 82%-ია; თუმცა, მოსახლეობის დაახლოებით 11%-მა არ იცის ჯანდაცვის პროგრამის არსებობის შესახებ.**

საქართველოს მთავრობამ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა 2013 წელს დანერგა. აღნიშნული პროგრამით, სამედიცინო დახმარების საჭიროების მქონე საქართველოს ყველა მოქალაქეს სახელმწიფო გარანტირებული დახმარებით უზრუნველყოფს. საყოველთაო სამედიცინო მომსახურების პროგრამა მოსახლეობის დაახლოებით 82%-ს მოიცავს. კორპორაციული, დამქირავებლის მიერ დაფინანსებული ან კერძო დაზღვევა ქალაქად უფრო გავრცელებულია, ვიდრე სოფლად. მოსახლეობის თითქმის 11%-მა არ იცის ჯანდაცვის პროგრამის შესახებ და ფიქრობს, რომ არცერთ პროგრამაში არ მონაწილეობს.

- **2017 წლის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის შედეგების მიხედვით, ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობაზე დაბრკოლებების მქონე შინამეურნეობების პროცენტული წილი საგრძნობლად შემცირდა.**

2017 წელს შინამეურნეობების საშუალო წლიურმა ხარჯმა* ჯანდაცვაზე ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე 430.7 ლარი შეადგინა (მედიანურმა – 200.9 ლარი ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე). 2015 წლის მონაცემებთან შედარებით (346.8 ლარი), საშუალო ხარჯი 16.4%-ით გაიზარდა, მედიანური ხარჯი (177 ლარი) კი 6.4%-ით (2015 წლის ფასებში). საშუალოდ, ქალაქად მცხოვრები შინამეურნეობების წლიურმა ჯანდაცვის ხარჯმა 448.7 ლარი შეადგინა, ხოლო სოფლად 412 ლარი. კვლევაში მონაწილე შინამეურნეობების მხოლოდ 3.6%-ს არ გაუწევია არანაირი ხარჯი ჯანდაცვის მომსახურებაზე. რაც შეეხება, ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების განაწილებას, შინამეურნეობების ხარჯების ძირითადი წილი (69%) მედიკამენტებზე მოდის. 2015 წელს შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 43.1%-ის მინიმუმ ერთი ოჯახის წევრს დასჭირდა სამედიცინო მომსახურება, რომელზეც ფინანსურად ხელი არ მიუწვდებოდა. ორი წლის შემდეგ, იმ შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომლებსაც ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობაზე დაბრკოლებები ჰქონდათ, საგრძნობლად შემცირდა და 22.3% შეადგინა. ასეთი მნიშვნელოვანი შემცირება, შესაძლოა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ეფექტიანობას მიეწეროს.

- **ზოგიერთი შინამეურნეობის სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე ჯიბიდან გაწეული ხარჯები კატასტროფულად მაღალია**.**

აღნიშნულმა ხარჯებმა მთლიანი ხარჯის 10 პროცენტზე მეტი შეადგინა შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობის 34.2%-ისთვის – რაც 2015 წლის მაჩვენებელს (29.8%) აღემატება. გარდა ამისა, შინამეურნეობების 26.4%-ისთვის,

*ჯანდაცვის ხარჯები მოიცავს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას (ტრანსპორტის ხარჯის ჩათვლით), ექიმებთან ვიზიტს, სამედიცინო პროცედურებს, ქირურგიულ ოპერაციებს, ჰოსპიტალურ მომსახურებას, მშობიარობას, ქალთა კონსულტაციას, რეგულარულ სამედიცინო შემოწმებას, იმუნიზაციის ხარჯებს, ექთნის მომსახურებას და პაციენტის მოვლას, მედიკამენტების შეძენას, სადაზღვევო პრემიებს და სხვა არაფორმალურ ხარჯებს.

** ჯანდაცვის ხარჯები „კატასტროფულად“ მიიჩნევა, თუ იგი შინამეურნეობის ხარჯების 10 პროცენტზე მეტს ან შინამეურნეობის არასასურსათო ხარჯების 25 პროცენტზე მეტს შეადგენს.

ჯანდაცვის ხარჯებმა არასასურსათო ხარჯის 25%-ზე მეტი შეადგინა, რაც 2015 წლის მონაცემს (25.1%) აღემატება. აღნიშნული ზრდის ერთ-ერთ მიზეზად მედიკამენტების ღირებულება სახელდება. შინამეურნეობების დაახლოებით 27.8%-მა (2015 წ. – 26.4%) აღნიშნა, რომ მედიკამენტების შეძენა მათთვის უმთავრესი პრობლემა იყო. მედიკამენტებზე გაწეული ხარჯების საშუალო მაჩვენებელი საგრძნობლად გაიზარდა ხარჯების სხვადასხვა კვინტილში.



შინამეურნეობის მართვის სტრატეგიები

- **საბანკო და სალომბარდო სესხების აღების დონე უღარიბეს კვინტილში საგრძნობლად გაიზარდა.**

გამოკითხული შინამეურნეობების 43.2%-მა განაცხადა, რომ წინა წელთან შედარებით, მათი ეკონომიკური მდგომარეობა „გაუარესდა“. აღნიშნულის მიზეზად, ძირითადად, გაზრდილი ფასები, სერიოზული ავადმყოფობა და ოჯახის შემოსავლის შემცირება სახელდება. შემოსავლის ერთ-ერთი წყარო სესხის აღება იყო. 1,534 შინამეურნეობამ სესხების 1,629 ტიპი დაასახელა (საბანკო ან სალომბარდო სესხი 80.3%; ნათესავები/მეგობრები 6.1% და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები 8.7%). უნდა აღინიშნოს, რომ ბანკებისა და სალომბარდო დაწესებულებების გამოყენების დონე უკიდურეს ქვედა კვინტილში საგრძნობლად გაიზარდა. რაც შეეხება მომავლის პერსპექტივებს, ამის შესახებ აზრის მქონე შინამეურნეობების მხოლოდ 10.3%-მა განაცხადა, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა, მაშინ როცა ამგვარ რესპონდენტთა წილი 2015 წელს 15.2%-ს შეადგენდა. უღარიბეს კვინტილში, შინამეურნეობათა წილი, რომელიც მიიჩნევს, რომ მომდევნო 12 თვის განმავლობაში მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას ვერ შეძლებს, 2015-2017 წლებში 72.1%-დან 63.9%-მდე შემცირდა.

- **მოხმარების დონის საფუძველზე განსაზღვრული ბავშვთა სიღარიბე გაიზარდა, მაშინ როცა ბავშვის სიღარიბის არამონეტარული მაჩვენებლები გაუმჯობესდა.**

მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის 2017 წლის მონაცემების მიხედვით, შინამეურნეობების 33.4%-ს ჰყავს მინიმუმ ერთი 16 წლამდე ასაკის ბავშვი. ბავშვებიანი შინამეურნეობების 50% სოფლად ცხოვრობს. კვლევის მიგნებების თანახმად, ბავშვების სიღარიბის ალბათობა უფრო დიდია, მოსახლეობასთან ან პენსიონერებთან შედარებით. ბავშვების მატერიალური საცხოვრებელი პირობები, შინამეურნეობებში ხანგრძლივი მოხმარების საქონლის არსებობის თვალსაზრისით, გაუმჯობესდა, იმ ბავშვთა წილი კი, რომლებიც ცუდ პირობებიან საცხოვრებლებში ცხოვრობდნენ, საგრძნობლად შემცირდა. ასევე შემცირდა ბავშვებში სუბიექტური სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის დონე. თუმცა, 2017 წელს მონეტარული მაჩვენებლების საფუძველზე განსაზღვრული სიღარიბის დონე გაიზარდა. გარდა ამისა, საქართველოში სოფლად მცხოვრები ბავშვების 4.1% ცხოვრობს შინამეურნეობებში, რომელთაც ხელი არ მიუწვდებათ სასმელი წყლის გაუმჯობესებულ წყაროზე. არასათანადო სანიტარული მოწყობილობების მქონე შინამეურნეობაში ქალაქად ბავშვების 9.3% ცხოვრობს, სოფლად კი – 32.9%. შინამეურნეობები, რომლებსაც არ ჰყავთ ბავშვები, საშუალოდ, თვეში სოციალური დახმარების სახით ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე 122.8 ლარს იღებენ, მაშინ, როცა ბავშვებიანი შინამეურნეობების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 50.5 ლარია. ბავშვებიანი შინამეურნეობების საშუალო ხარჯი, იმ შინამეურნეობებთან შედარებით, რომელთაც არ ჰყავთ ბავშვები, 53%-ით მაღალია. თუმცა, ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე ხარჯი ბავშვიანი შინამეურნეობების შემთხვევაში 19.5%-ით დაბალია.

- **საბავშვო ბაღების არარსებობის გამო, დაახლოებით 14 000 ბავშვი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ვერ დადის.**

2017 წლის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მიხედვით, 3-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვების 63.7% დადიოდა საბავშვო ბაღში. საბავშვო ბაღის აღსაზრდელების აბსოლუტური უმრავლესობა სახელმწიფო ბაღებში დადიოდა. ზოგადად, ქალაქში საბავშვო ბაღებში 3-5 წლის ბავშვების უფრო დიდი პროცენტული წილი დადიოდა, ვიდრე სოფლად (78% და 51% შესაბამისად). შინამეურნეობების უმდიდრეს მეხუთედში შემავალი 3-5 წლის ბავშვების თითქმის 64% დადიოდა საბავშვო ბაღში, მაშინ როცა ამ მაჩვენებელმა უღარიბესი შინამეურნეობების მეხუთედში 57.7% შეადგინა. 3-5 წლის ბავშვების მთლიანი რაოდენობის 8.9% სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში იმიტომ არ დადიოდა, რომ მათ რაიონებში საბავშვო ბაღები არ იყო. ინფრასტრუქტურის არარსებობა სოფლისთვის (16.8%) უფრო მეტად არის დამახასიათებელი. არსებულ საბავშვო ბაღებში უადგილობის გამო კი, ბავშვების მთლიანი რაოდენობის თითქმის 5.1% სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში არ დადის.

- **სავალდებულო განათლების საფეხურზე სკოლაში დასწრების მაჩვენებელი 97%-ია; ამის მიუხედავად, 15-დან 18 წლამდე ყოველი მეხუთე ღარიბი ბავშვი აღარ იღებს განათლებას.**

ოფიციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში უღარიბესი და უმდიდრესი კვინტილების ბავშვთა დასწრების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განსხვავდება



ერთმანეთისგან. ღარიბი ოჯახების ბავშვები უფრო იშვიათად იღებენ სკოლამდელ ან დაწყებით განათლებას. უღარიბესი კვინტილის 15-18 წლის ბავშვებში სკოლის დასწრების მაჩვენებელი თითქმის 81%-ია, ხოლო უმდიდრესი კვინტილის იმავე ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებში – 98%. განსხვავება კიდევ უფრო აშკარა ხდება 18 წლის ასაკის შემდეგ, როდესაც ღარიბი ოჯახების ბავშვები საგანმანათლებლო დაწესებულებებს ტოვებენ. სხვადასხვა ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლას აგრძელებს უღარიბესი კვინტილის 20 წლის ბავშვების თითქმის 5% და უმდიდრესი კვინტილის ბავშვების 77%.

- **ყველაზე ღარიბი ოჯახების ყოველი 10 ბავშვიდან 6-ს არ აქვს ან საკმარისად არ მიუწვდება ხელი საბავშვო წიგნებზე.**

86.3% შემთხვევებში შინამეურნეობის უფროსი წევრები ჩართულნი იყვნენ 3-5 წლის ბავშვების (უღარიბესი კვინტილში – 82%-ის, ხოლო უმდიდრეს კვინტილში – 96%-ის) განათლებისა და სკოლისთვის მომზადების ოთხზე მეტ აქტივობაში. მაგრამ, თუნდაც ერთ აქტივობაში, მამების მონაწილეობის შემთხვევები მხოლოდ 46.7%-ში იკვეთება. საქართველოში 36-59 თვის ბავშვების მხოლოდ 59%-ს აქვს სამი ან მეტი საბავშვო წიგნი. უღარიბესი კვინტილის ბავშვების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 36%-ია, ხოლო უმდიდრესი კვინტილის ბავშვების შემთხვევაში - 88%. ამასთან ერთად, ქალაქში მცხოვრებ ბავშვებს უფრო მეტად მიუწვდებათ ხელი საბავშვო წიგნებზე (66.3%), ვიდრე სოფლად მცხოვრებ ბავშვებს (52.6%). ამავდროულად, ბავშვის ადრეულ ასაკში განვითარების (ECD) ინდექსის მიხედვით, 3-დან 5 წლამდე ბავშვების 92.8% სწორად ვითარდება.



- **არასათანადო ზრუნვის ფაქტები ქალაქში მცხოვრები შინამეურნეობების შემთხვევაში უფრო ხშირია, ვიდრე სოფლად.**

ამ კვლევის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, 3-5 წლის ბავშვების თითქმის 7.1% (დაახლოებით 11 000 ბავშვი) არასათანადო ზრუნვას იღებდა*. დაბოლოს, ქალაქში მცხოვრები შინამეურნეობები უფრო ხშირად ტოვებენ ბავშვებს მარტო, ვიდრე სოფლის შინამეურნეობები (შესაბამისად 10.9% და 3.8%).

* არასათანადო ზრუნვად ჩაითვალა ისეთი შემთხვევები, როდესაც ბავშვი, ერთ საათზე დიდი ხნით ან გასული კვირის განმავლობაში ერთხელ მაინც დატოვეს მარტო ან დაუტოვეს 10 წლამდე ასაკის სხვა ბავშვს.